

თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ჯორჯიან პლასტიკს“ შორის

2018 წლის 30 ივლისის გაფორმებულ N94 ხელშეკრულებაზე

ქ. თერჯოლა

08 ნოემბერი 2018 წ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე **NAT180009154** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ჯორჯიან პლასტიკს“-ს შორის 2018 წლის 30 ივლისის გაფორმდა ხელშეკრულება N94 რომლითაც განსაზღვრულია ქ. თერჯოლაში ჯაბიძის ქუჩაზე წყალსადენის გარე ქსელის მოწყობა.

ხელშეკრულების მხარეები, ერთის მხრივ თერჯოლის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ბონდო სოფრომაძის სახით. მეორე მხრივ შ.პ.ს „ჯორჯიან პლასტიკი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გურამ ნიკოლაძის სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ხელშეკრულების მე-18 მუხლის საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

• მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვისა და 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2018 წლის 30 ივლისის გაფორმებული N94 ხელშეკრულების ნაწილს.

„შემსყიდველი“

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ს/კ 231 946 623



მუნიციპალიტეტის მერი

ბონდო სოფრომაძე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „ჯორჯიან პლასტიკი“

ს/კ 412685562



შ.პ.ს „ჯორჯიან პლასტიკის“
დირექტორი გურამ ნიკოლაძე



თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ბონდო სოფრომაძეს

მოხსენებითი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯორჯიან პლასტიკი“-ს შორის გაფორმებული 2018 წლის 30 ივლისის N94 ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ჯორჯიან პლასტიკი“ აწარმოებს ქ. თერჯოლაში, ჯაბიძის ქუჩაზე სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებს.. ა/წ 15ოქტომბერს შპს „ჯორჯიან პლასტიკი“-მ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა N7345/45 წერილით, სადაც აღნიშნავს, რომ რკ/ ბეტონის რეზერვუარის მოწყობის ნაწილი შეიცავს გარკვეულ ცდომილებებს და წარმოადგინა დამატებით შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შესათანხმებლად გაიგზავნა საპროექტო და სახედამხედველო ორგანიზაციებში.

ა/წ 04 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ N7816/45 წერილით, სადაც აღნიშნულია, რომ დამატებით შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში არ არის მითითებული ნორმატივის შიფრები და საკითხის შემდგომი განხილვისათვის საჭიროა რესურსული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა შიფრების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი პროცედურების გავლისათვის საჭიროა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევა 10 კალენდარული დღით, რისთვისაც გთხოვთ დაავალოთ მერიის შესყიდვების განყოფილებას შემდგომი რეაგირებისათვის.

ვახტანგ იამანიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი